დამტკიცებულია

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის

დამტკიცებულია: N2-143 (17.11.2021) რექტორის ბრძანებით

ცვლილება: რექტორის N2-143 ბრძანება (08.09.2023)

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

2023 წ

წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) დასაქმებული პირების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და აკადემიის ტერიტორიაზე მყოფი ვიზიტორების წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

მუხლი 2. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები

1. აკადემია უზრუნველყოფს:
ა) აკადემიის კუთვნილი ქონების დაცვას;
ბ) აკადემიის ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფას;
გ) გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას აკადემიის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას;
დ) აკადემიის შენობა-ნაგებობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების დახმარებას გადაადგილების დროს (ასეთების არსებობის შემთხვევაში);
ე) უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას;
ვ) საჭიროების შემთხვევაში შენობაში მყოფთა ევაკუაციას;

მუხლი 3. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები

1. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით აკადემიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული საევაკუაციო გეგმა, (რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება), წესრიგის დაცვის სხვა მანიშნებლები;
2. აკადემია აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით და ინვენტარით (ცეცხლმაქრები), მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია აღნიშნულ ინვენტართან;
3. იდენტიფიცირებულია პირი , რომელიც პასუხისმგებელია წესრიგის დაცვაზე/ან და გაფორმებულია ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციასთან;
5. შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული კაბინეტები, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა.
6.აკადემიაში შექმნილია შრომის უსაფრთხოების სამსახური, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოს შექმნა.
7. საგანგებო ვითარების დროს პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან 112 - ზე დარეკვით გამოიძახონ შესაბამისი სამსახურები (სახანძრო, და სხვ.);

მუხლი 4. გარდამავალი დებულებები

1. აკადემიის წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები მტკიცდება და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.